4
ს-251

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სანაკოევა ლარისა მიხეილის ასული

# სიტყვა და სიმბოლო-მეტყველების მეცნიერული სტილის ტერმინოლოგიურ სისტემებში ბუნებრივი და სიმბოლური ენების კოორდინაციული და სუბორდინაციული კავშირების დიალექტიკისათვის

(თეორიული ასპექტი)

სპეციალობა 10. 02. 02 - ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

## ავტორეფერატი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შემოსულია № 77
01. " 06 1998

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რუსული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრაზე


საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. რ. ნათაძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. დ. კობალავა
2. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო ინფორმაციის აკადემიისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის მოქმედი წევრი, პროფესორი ვ. ვ. ჭავჭანიძე
3. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გ. ა. მახარობლიძე
4. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ივ. ჯავახიშვილისი სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დ. გ. ანთიძე

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახ. ენათმცოდნეობის ინსტიტუტი



დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 24.06.(14ს) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს (P 10.02 C №6) სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორპუსი).

ავტორეფერატი დაიგზავნა 24.05.98

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი / გ. წიბახაშვილი /



–1634–


უკანასკნელ წლებში ლინგვისტებისა და გამოყენებითი ენათმეცნიერების წარმომადგენელთა დაჟინებული ყურადღება სიმბოლური ხელოვნური ენების მიმართ, როგორც მეცნიერებისა და კულტურის უნიკალური ფენომენისადმი, მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ განსაკუთრებულ მომიჯნავე ინფორმაციულ-სასიგნალო სტატუსთან, რომელიც ემსახურება თავის ტვინის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნახევარსფეროს (სამყაროს რაციონალურ-ლოგიკური და ხატოვან-წარმოსახვითი აღქმა, ინფორმაციის დისკრეტული და ანალოგიური დამუშავება); მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის და პოსტინდუსტრიალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების ეპოქაში სპეციალური ტერმინების მართებული და ზუსტი გამოყენების მნიშვნელობის გაზრდასთან; სრულიად სხვადასხვა სოციალური ფენების საერთო განთავისუფლებასა და დემოკრატიზაციასთან, რომლებსაც სჭირდებათ ადეკვატური ურთიერთობებისა და საქმიანი კონტაქტების სახსრები და საშუალებები.

სიმბოლური ენებისა და ტერმინოლოგიის შესწავლისა და სწავლების ასპექტი, გინდაც შინაარსობრივი, გინდაც ლოგიკური ან ლინგვისტური ადგენს ბუნებრივ და სიმბოლურ ენებში ტერმინთა წარმოქმნისა და ტერმინთა გამოყენების ფორმათა კონკრეტულობის და მეთოდების თავისუფალი და უშეცდომო ფლობის თავდაპირველ იმანენტურ მნიშვნელობას და პრაგმატულ აქტუალობას. თანამედროვე მეცნიერება და წარმოება არის მძლავრი და მუდმივი ქმედითი გენერატორი არა მარტო ახალი იდეების, სისტემებისა და მექანიზმებისათვის, არამედ აგრეთვე სპეციალური სიტყვა-ტერმინებისა და ნიშან-ტერმინებისათვის მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური სპეციფიკური ლექსიკურ-სემანტიკური და გრამატიკული თავისებურებებით. ამასთანავე ნიშან-ტერმინს, როგორც ასეთს, უყენებენ უფრო სრული და ადეკვატური მომსახურების გაცილებით მკაცრ მოთხოვნებს როგორც არსებული, ასევე ახლადწარმოქმნილ მეცნიერულ-ტექნიკურ და სოცილურ რეალიებში.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა მთლიანად ტერმინოლოგიის როგორც ზოგადლიტერატურული რუსული ენის რაიმე ქვესისტემის გამოკვლევის ცდა ტერმინების სულ ცოტა ორი სტრუქტურული ტიპის გათვალისწინებით მაინც: ენობრივი და არაენობრივის, რომლებიც შედიან ბუნებრივი და სიმბოლური ენების საერთო გენერალიზებულ ნიშანთა სისტემაში და გამოირჩევიან პირობითობის ხარისხითა და ინფორმაციის კოდირების საშუალებით.

ვიხილავთ რა ცოდნის კონკრეტული დარგის ან წარმოების დარგის ტერმინოლოგიას ამა თუ იმ ტიპიურ სიტუაციაში მათი გამოყენების ალგორითმებთან ერთად, ჩვენ ვუფარდებთ მათ გაგების მთლიან სისტემას, რომელიც შეესაბამება ცოდნის დარგს, რაც სავსებით ბუნებრივია. თუმცა ამასთანავე ადგილი აქვს გარკვეულ ორჭოფობას ბევრი მკვლევარის პოზიციაში, რომელიც, ეტყობა, ასახავს პრობლემისათვის ობიექტურად დამახასიათებელ შინაგან დიალექტიკურ წინააღმდეგობას: ერთი მხრივ არსებობს სიტყვის ტერმინისგან მკვეთრი გამოყოფის